

**გვარ-სახელთა წარმოება
გერმანულსა და ქართულში
FORMATION OF SURNAMES AND
NAMES IN GERMAN AND
GEORGIAN LANGUAGES**

ნინო ზედგინიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალციხე, საქართველო

Nino Zedginidze

Samtskhe-Javakheti State University
Akhaltsikhe, Georgia

ABSTRACT

According According to historical records, until around the 12th century, a person in German had simply a name. Because settlements were quite small, frequently only one Konrad or Klaus could have been in each community. Soon, a personal name was no longer sufficient. Initially, there was a trend to add phrases describing craft or physical build to the names. Eventually, these epithets became surnames.

In modern German, anthroponymy is a two-part system, which means that a person has a given name and a surname. A surname is a pretty broad concept in terms of its meaning and function. Surnames are represented by a variety of expressions in German. Examples include Nachnamen (surname), Familieninamen (family name), Sippennamen (surname/clan name, where 'Sippe' refers to surname, clan, or kinship), Sammesnamen (tribal name/surname), and Völkernamen (ethnic/people names). We can assume that the concept of a surname is more transparent in the Georgian language because multiple names are not canonized in Georgian. However, it is clear that Georgian also has surnames, nicknames, family branch names, etc. We believe that in German, the term 'family branch name' is synonymous with 'surname' or 'family name.' However, the Georgian anthroponymic system includes only the family name and the first name.

The issue of the father's name has always been present in the cultural history of various countries. This was also the case in Georgian culture, but environmental factors necessitated the recording of the father's name, leading to the establishment of the surname. A notable example is our famous writer Ioane Sabanisdze (8th century), whose father's name is fully attested. It is more akin to a father's name than a surname, as the possessive case marker remains; otherwise, it would have been 'Sabanidze.'

The transition to acquiring the surname from the father took quite a long time, spanning centuries. However, with the intensification of relations with Russia at the beginning of the nineteenth century, the father's name ceased to serve solely

as a marker in the development of the surname. Instead, it began to function as the patronymic name itself. For example, Ivan Peter's son - Ivan Petrovich. It was another culture with which Georgian anthroponymy had to come into contact, the interaction with which has transformed into a canonical norm over time. At the turn of the twenty-first century, an important event occurred in Georgian anthroponymy: the patronymic name was removed from passport data. With this, Georgian anthroponymic culture reverted to its Georgian tradition. Politics has always played and continues to play an important part in anthroponymy.

Person names are part of the language's lexical fund, which is always developing, updating, and reacting to changes in the social and cultural life of society.

საკვანძო სიტყვები: ქართული ანთროპონიმია, გერმანული ანთროპონიმია, გვარ-სახელების წარმოება ქართულსა და გერმანულში.

Keywords: Georgian anthroponymy, German anthroponymy, Formation of surnames and names in Georgian and German.

შესავალი

სახელდება (ნომინაცია) ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა არა მარტო ენათმეცნიერებაში, არამედ ფილოსოფიაშიც, რადგან უშუალოდ უკავშირდება ადამიანთა მსოფლადქმას. სახელების ძირითადი საშუალებები უნივერსალურია ყველა ენისათვის (ტერმინოლოგიის საკითხები 2016: 58).

საკუთარი სახელის ადგილის განსაზღვრა ნებისმიერი ენის საერთო ლექსიკაში იმ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება, რომელთა გამოკვლევასა და განსაზღვრას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ენათმეცნიერებაში. ამ საკითხის გადაწყვეტაზე ფაქტობრივად დამოკიდებული საკუთარ სახელთა კვლევის შემდგომი ბედი, სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა და ენაში საკუთარ სახელთა თავისებური სისტემების დადგენა (ჯორბენაძე 1975: 127).

როგორც ვიცით, ენაში საკუთარი სახელების განსაკუთრებულობა და მათი სხვა არსებითი სახელებისაგან განსხვავება მკვლევრებმა შენიშნეს უძველესი დროიდან. თეორიულად ამ განსხვავებების დასაბუთების მცდელობებიც ძველია, თუმცა პრობლემა ჯერ კიდევ მოუგვარებელია. XIX საუკუნეში ეს პრობლემა აღიქმებოდა არა როგორც ლინგვისტური, არამედ – როგორც ლოგიკური, ამიტომ მისი მკვლევრები ძირითადად ლოგიკოსები და ფილოსოფოსები იყვნენ.

სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარება მრავალი თვალსაზრისით საერთაშორისო პრობლემაა. რუსული და უცხოური ონომასტიკური ტერმინების განსხვავებები აშკარად იკვეთება. ცნობილ ჟურნალებში “ონომა” და “Namenkundliche Informationen” (ენათმეცნიერული ინფორმაციები), ონომასტიკასთან ერთად, არის ჩვეულებრივი ტერმინები, როგორიცაა Antroponomastik – ანთროპონომასტიკა, Toponomastik – ტოპონომასტიკა, Hydronomastik – ჰიდრონომასტიკა და ა.შ. განსაკუთრებული პრობლემაა, რომელიც ასოცირდება ტერმინოლოგიის ისტორიასთან, ეროვნული

მეცნიერების ტრადიციებთან, აგრეთვე კონკრეტული ენის სიტყვის ფორმირების ტენდენციებთან. ამიტომ, საერთაშორისო დონეზე ონომასტიკური ტერმინოლოგიის გაერთიანების საკითხის დასმაც კი ამჟამად საკმაოდ სარისკო, ან თუნდაც ნაადრევია.

ონომასტიკის დარგში მეცნიერთა პირველი და ყველაზე სრულყოფილი საერთაშორისო აკადემიური ორგანიზაცია არის ონომასტიკური მეცნიერების საერთაშორისო საბჭო/გაერთიანება – The Integrated Carbon Observation System (ICOS). ის აგრძელებს ონომასტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო კომიტეტის მუშაობას (თავდაპირველად შეიქმნა 1949 წელს), როგორც აკადემიური საზოგადოება, აქვეყნებს პერიოდულ ჟურნალს (ონომას), ორგანიზებას უწევს საერთაშორისო სერიას ონომასტიკურ მეცნიერებათა კონგრესებზე და (ამჟამად) მუშაობს ორი სამუშაო ჯგუფი: ბიბლიოგრაფიის ჯგუფი და ტერმინოლოგიის ჯგუფი. ICOS არის ონომასტიკოსთა ყველაზე სრულყოფილი საერთაშორისო ორგანიზაცია. (დამატებითი ინფორმაცია ICOS- ისა და მისი ისტორიის შესახებ იხილეთ მის ვებგვერდზე <https://www.icos-cp.eu/>) (Farkas 2018: 6).

ცნობილია, რომ სპეციალური და დარგობრივი ტერმინოლოგიის თავმოყრისა და ზუსტი განსაზღვრებების თვალსაზრისით განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობა აქვს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონას“, ამ ლექსიკონში პირველადაა წარმოდგენილი ქართულ მწიგნობრობაში დროთა განმავლობაში დაგროვილი ტერმინების სამეცნიერო კლასიფიკაცია და ცნებითი სისტემატიზაცია სემანტიკური კავშირების მიხედვით (ტერმინოლოგიის საკითხები 2014: 5). ანთროპონიმული მასალით მდიდარია „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ხუთტომეული, რომლის საშუალებითაც ვეცნობით შუა საუკუნეების საქართველოში გავრცელებულ გვარ-სახელებსა და ცალკეულ პიროვნებებს. მათ შესახებ არსებული ინფორმაცია ამოკრებილია XI-XVII საუკუნეების ისტორიული წყაროებიდან. მეცნიერები, რომლებიც სწავლობდნენ და სწავლობენ საკუთარ სახელთა სისტემას ქართულში, საკმაოდ ბევრია: ალ. ლლონტი, თ. სახოკია, ბ. ჯორბენაძე, მ. ჯიქია, ქ. გოდერძიშვილი და სხვა.

ვფიქრობთ, ანთროპონიმთა შესწავლა მეტად საინტერესო მასალას გვაძლევს ენათმეცნიერული კვლევებისათვის. ამასთან, მეტად მნიშვნელოვანია ამა თუ იმ ქვეყნის, ხალხის წარსული ყოფა-ცხოვრების, წეს-ჩვეულებების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, კულტურული, სოციალური თუ პოლიტიკური ვითარების შესწავლის მხრივაც. აღნიშნული საკითხის კვლევა ღირებული და აქტუალურია ქართველოლოგიისა და ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერებისათვის. წმინდა ლინგვისტური მნიშვნელობის გარდა, გაანალიზებული მასალა ფასეულია ისტორიულ-კულტუროლოგიური ასპექტითაც. მიღებული შედეგები დამატებით არგუმენტებად შეიძლება გამოდგეს განსხვავებული თვალსაზრისების დასასაბუთებლად ან უარსაყოფად.

ჩვენი მიზანია გვარ-სახელთა წარმოების სპეციფიკისა და თავისებურებების დადგენა ქართულსა და გერმანულში ენობრივი შეპირისპირების საფუძველზე. ანთროპონიმულ ტერმინთა განხილვა და შესწავლა ქართულ და გერმანულ ენებში. ენათმეცნიერულ ტერმინთა

ქართულ ენაზე გადმოცემისათვის საჭირო ძირითადი ტენდენციების გამოვლენა.

კვლევის მეთოდები

საკითხის კვლევისას გამოყენებული გვაქვს აღწერითი, შედარებითი და ანალიზური მეთოდები. კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ტიპურ და უნივერსალურ ასპექტებს ანთროპონიმიკაში, ენობრივი შეპირისპირებისა და ანალიზის საფუძველზე მათი თავისებურების გამოვლენას. კვლევისას ვიყენებთ ანალიზისა და სინთეზის მეთოდებს, რომლებიც მეტად ფასეული გამოდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ამოცანების გადასაჭრელად.


მსჯელობა

ისტორიული წყაროების მიხედვით, დაახლოებით მე-12 საუკუნემდე გერმანულში ადამიანს მხოლოდ სახელი ჰქონდა. დასახლებული პუნქტები საკმაოდ პატარა იყო, ამიტომ ასეთ სოფელში ხშირად მხოლოდ ერთი კონრადი ან კლაუსი შეიძლება ყოფილიყო. მოგვიანებით სახელების მოდურობამ გამოიწვია რამდენიმე სახელის პოპულარობა. ბევრს ერქვა ერთი და იგივე სახელი. გარდა ამისა, სახელთა სიმრავლეს ხელს უწყობდა გვიანდელ შუა საუკუნეებში მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. მალე პიროვნული სახელი აღარ კმაროდა. თავდაპირველად განვითარდა ტენდენცია, სახელისათვის დამატებინათ ხელობის ან ფიზიკური აღნაგობისათვის დამახასიათებელი სიტყვები. მაგალითად, ერთ-ერთ კონრადს „პატარა კონრადს“ უწოდებენ, მეორეს – „მჭედელ კონრადს“ და ა.შ. შემდგომ ეს მეტსახელი მისი ოჯახის წევრებზე ვრცელდებოდა. მოგვიანებით ეს ეპითეტები იქცევა გვარად, რომელსაც დოკუმენტებში ასახავდნენ შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- გვარის ტარება იყო ოფიციალური და სავალდებულო;
- გვარს ადამიანი ატარებდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- გვარი გადაეცემოდა მემკვიდრეობით (Wie entstanden Nachnamen 2009).


თავიდანვე გერმანიაში გვარი სახელდების მოტივაციის მიხედვით იყოფოდა ხუთ ჯგუფად:

1. პროფესიის აღმნიშვნელი სახელები;
 2. გარეგნული მახასიათებლის აღმნიშვნელი მეტსახელები (დიდი, პატარა, მელოტი და სხვ.);
 3. საცხოვრებელი ადგილის, წარმოშობის სახელები. ამ ტიპის გვარები ძირითადად **-er** სუფიქსით ფორმდება, რომელიც წარმომავლობის აღმნიშვნელი სუფიქსია (მაგ., Heinrich, der Altenburger);
 4. ასევე, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, როდესაც ადამიანს არსად წასვლა არ სჭირდებოდა და მის გვარში მინიშნებული იყო რომელიმე გამორჩეული ადგილის სახელი. (მაგ., როდესაც მთის ან სულაც გამორჩეული ხის ახლოს ცხოვრობდა და ამ მთის ან ხის სახელი იქცეოდა გვარად);
 5. პატრონიმული გვარსახელები, მამის სახელები: „Friedrich, Gerhards Sohn“ ან „Gerhards Friedrich“. „Gerhard“ ან „Gerhards“.
- გერმანელმა ენათმეცნიერმა **კონრად კუნზემ** სახელთა კლასიფიკაცია შემდეგი სქემის გამოყენებით წარმოადგინა:




(Kunze 2005; Vorobets 2017: 17).

ქვემოთ წარმოვადგენთ კუნზეს სქემის ჩვენეულ ვერსიას გერმანულ და ქართულ ენებზე.




ანთროპონიმია (ასევე ანთროპონიმია ან ანთროპონომასტიკა) არის ონომასტიკის ერთ-ერთი ქვედარგი. მისი კვლევის საგანია ადამიანთა საკუთარი სახელები (ანთროპონიმები). **ბრენდლერს** წარმოდგენილი აქვს ანთროპონიმთა კლასიფიკაცია:



- ✓ Menschennamen – ადამიანთა სახელები
- ✓ NameneinzelnerMenshen = Personennamen – თითოეული ადამიანის სახელი = პერსონალური სახელი
- ✓ Vorname – სახელი (წინა სახელი);
- ✓ Mittelname – სახელი(შუა სახელი);
- ✓ Nachname – გვარი;
- ✓ Namen von Menschengruppen = Menschengruppennamen – ადამიანთა ჯგუფების სახელები;
- ✓ Familiennamen – გვარი;
- ✓ Sippennamen – გვარი/შტოგვარი (Sippe - გვარი, კლანი, ნათესაობა);
- ✓ Sammesnamen – გვარი/ჯიშის სახელი;
- ✓ Völkernamen – ეთნოსის/ხალხთა სახელები

ანთროპონიმის გერმანულში ჩვეულებრივ აქვს ორნაწილიანი სისტემა: სახელი + ეპითეტი და გვარი. თუმცა ძველ გერმანულში მხოლოდ პირველი სახელი იყო გამოყენებული (რაც მორფოლოგიურად შეესაბამება სახელს). სახელისა და გვარის თითოეულ ელემენტს თავისი ადგილი აქვს ანთროპონიმულ სისტემაში. გერმანულში გამოიყოფა ანთროპონიმთა ორი განსხვავებული ქვეჯგუფი: ერთი მხრივ, მემკვიდრეობით მიღებული, საკუთრივ გერმანული სახელები და, მეორე მხრივ, უცხოური წარმოშობის სახელები (Vorobets 2017: 14).

გვარი თავისი სემანტიკითა და ფუნქციით საკმაოდ ფართო ცნებაა. გერმანულ ენაში გვარის აღმნიშვნელი ბევრი ტერმინი არსებობს. მაგალითად, Nachnamen – გვარი, Namen von Menschengruppen=Menschengruppennamen – ადამიანთა ჯგუფების სახელები, Familiennamen – გვარი, Sippennamen – გვარი/შტოგვარი (Sippe – გვარი, კლანი, ნათესაობა); Sammesnamen – გვარი/ჯიშის სახელი; Völkernamen – ეთნოსის/ხალხთა სახელები. შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ გვარის ცნება ქართულ ენაში უფრო გამჭვირვალეა, რადგან ქართულში არ არის კანონიზებული მრავალსახელიანობა, თუმცა, ცხადია, ქართულშიც გვაქვს მეტგვარი, მეტსახელი, შტოგვარი და სხვა. ვფიქრობთ, გერმანულში შტოგვარს აიგივებენ მეტგვართან, საგვარეულო სახელთან. მაგ., Mittelname – შუაგვარი. გვარის სისტემა შესაძლოა სქემატურად ასე გამოვსახოთ:



ვფიქრობთ, გერმანული Familiennamen დიდი ეთნიკური ჯგუფის გვარი უნდა იყოს, Nachnamen კი – ერთი კონკრეტული ადამიანის გვარი, რომელიც უშუალოდ მომდინარეობს საერთო გვარისაგან, ხოლო Mittelname – შუაგვარი იგივე მეტგვარი, მიღებულია შტოგვარის დავიწროების შედეგად, რომელიც დაკანონდა და ხაზს უსვამს პიროვნების წარმომავლობის უფრო მეტ კონკრეტიზაციას. ცხადია, ქართულშიც გვაქვს მეტგვარი და შტოგვარი, თუმცა ქართული ანთროპონიმული სისტემა მხოლოდ გვარისა და სახელისაგან შედგება. ქართულში გვარის სქემატურად გამოსახვა შემდეგნაირად არის შესაძლებელი:



ქართულში წარმოშობის სახელი არ გვაქვს სახელად და იგი გადავიდა გვარში. რ. თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ საქართველოში მოხდა პირველყოფილი გვარის კლასობრივი საზოგადოების გვარში გადაზრდა. ამ თვალსაზრისით საქართველოში ტრადიციის გაწყვეტა არ მომხდარა, თუმცა პირველყოფილი საზოგადოების გვარი და სახელმწიფოების დროინდელი გვარები თავისი შინაარსით ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამასთანავე, იმის გამო, რომ ტრადიციის წყვეტა არ მომხდარა, სახელმწიფოების დროინდელმა გვარმა (გვარსახელმა), მემკვიდრეობითმა სახელმა ბევრი ის ნიშან-თვისებაც გამოიყოლა, რაც კლასობრიობამდელი გვარისთვის იყო დამახასიათებელი (თოფჩიშვილი 2010: 34). ცხადია, უშუალოდ საგვარეულო სახელიდან მომდინარეობს კონკრეტული პიროვნების გვარი, ხოლო შტოგვარი არ არის კანონიზებული საგვარეულო სახელთან (გვართან) ერთად გერმანულისაგან განსხვავებით.

გერმანული ანთროპონიმები მორფოლოგიურად იყოფა ორ მთავარ კლასად მათი „წევრების“ რაოდენობის მიხედვით: ორკომპონენტის (Friedrich) და ერთკომპონენტის (Fried, Frieda, Fritz). ორნაწილიანი

სახელების გარდა, მხოლოდ რამდენიმე ერთნაწილიანი სახელიც არსებობს, რომლებიც ერთი და იმავე მნიშვნელობიდან მოდის: **Ernust** (ernust „Ernst, Eifer, Kampf, Sorge“) – ერნუსტი („სერიოზულობა, მონდომება, ბრძოლა, წუხილი“), **Bruno** (brün „braun“, Beiname des Gottes Odin und verhüllender Name für den Bären) – ბრუნო („ყავისფერი“, შესაძლოა ღმერთ ოდინის ეპითეტი და დათვის სახელიც იგულისხმებოდეს). მოგვიანებით მრავალი ასეთი მეტსახელი გახდა გვარების საფუძველი. ადგილობრივი მეტსახელების ძირითადი მარაგი ძველ გერმანულში ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: 1. ინდოევროპულიდან შემკვიდრებით მიღებული, შდრ. გერმანული Walde-mar, რუსული Влади-мир, გერმანული Fried-bert, რუსული Мир-слав; გვარები, როგორიცაა: **ბერტოლდი, დეგენჰარტი, ებერჰარტი, ენგელჰარტი, გოტვალდი, გიუნტერი, ჰაინრიხი, ჰელვიგი** და ა.შ. 2. გერმანული მეტსახელების უძველეს ფენას მიეკუთვნება: **ლუდვიგი, მარკვარდი, ოსვალდი, რეიხარდ(ტი), რეინჰარდ(ტი), ზიგმუნდი, ულბრიხტი** და ა.შ. (Vorobets 2017: 16).

გერმანულ, ასევე ბერძნულ სახელებში სხვადასხვა ცნების გამოხატველია. მაგ., დიდება, ბრძოლა. გამარჯვება, მამაცობა, რელიგია და ა.შ. დღეს გერმანიაში განსაკუთრებით პოპულარულია ბერძნული წარმოშობის შემდეგი სახელები: მამაკაცის სახელი – Sebastian (სებასტიანი), Alexander (ალექსანდრე); ქალის სახელი – Elena (ელენა), Sophie (სოფი). მთავარი განსხვავება ლათინურსა და გერმანულ, გერმანულსა და ბერძნულ სახელებს შორის არის ის, რომ რომაელებს არა მხოლოდ ერთი, არამედ სამი სახელი ჰქონდათ: **პუბლიუს ოვიდიუს ნასო** სახელი + გვარი + ეპითეტი. არაერთი ასეთი სახელი დღემდე აყალიბებს გერმანული სახელების ფონს: **ფელიქსი, ფლორიანი, მარტინი; ბეატრიქსი** და სხვა (Vorobets 2017: 17).

ისეთი ქართული გვარები, როგორიცაა: **მამაცაშვილი, გამყრელიძე, ხმალაძე, წინამძღვრიშვილი, ციხისთავი, ხელისუფალი, თოფაძე, ერისთავი, ომიაძე...** ბრძოლასთან, ქვეყნის თავდაცვასთან არის დაკავშირებული. თითოეული მათგანი იქმნებოდა კონკრეტული ფაქტის ნიადაგზე ან შესაძლოა რომელიმე სამოხელეო ტერმინთანაც იყოს დაკავშირებული.

უცხო ენების გავლენამ უდიდესი როლი ითამაშა დღევანდელი გერმანული ონომასტიკონის ჩამოყალიბებაში. გერმანულ ანთროპონიმიაში ჩნდება ფრანგული და ინგლისური სახელები. მაგ.: **ედუარდი, ემილი, ლუი, ბაბეტი, შარლოტა, ჰენრიეტი, ლუიზა; ალფრედი, ედგარი, ჰარი, ბეტი, ედიტი, ფანი.**

პოლიტიკა ყოველთვის გარკვეულ როლს თამაშობდა ანთროპონიმიაში. სახელთა დარქმევის დროს, რაც არ უნდა უცნაურად მოგვეჩვენოს, მშობლები ითვალისწინებდნენ თუნდაც მტრის, მაგრამ ძლიერი ადამიანის ფაქტორს.

თემურ ლენგმა რვაჯერ ილაშქრა საქართველოს წინააღმდეგ, მან არაერთგზის მოაოხრა ჩვენი ქვეყანა და დიდი უბედურება დაატეხა მას თავს, მაგრამ **თემური**, როგორც სახელი, მას შემდეგ იქცა პოპულარულად საქართველოში. ასეთი დამოკიდებულება მთელ ისტორიას გასდევს ქართულ ანთროპონიმიაში. ცნობილია საკუთარ სახელად **შახი, ბეგი (ბეგიშვილი), ფაშა (ფაშალიშვილი), ნაპოლეონი**, რომლის შემოკლებული ვარიანტი **ნაპო** ლამის ცალკე სახელად იქცა. ამიტომაც შემთხვევითი არ

არის, რომ როგორც გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყნებში პოპულარული ხდებოდა მეზობელი გაძლიერებული ქვეყნების ანთროპონიმია. ასევე დამკვიდრდა ქართულ ონომასტიკონში ბერძნული, რომაული, ებრაული, არაბული, თურქული, რუსული, სომხური და კათოლიკური სარწმუნოების გზით შემოსული ევროპული სახელები.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებამდე გაჩნდა ტენდენცია, რომელიც აშკარა გახდა 1945 წლის შემდეგ. ამ პერიოდში ხდება ქრისტიანული და უძველესი სახელების კვლავ გააქტიურება (Reaktivierung), მაგალითად: **Alexander, Claudia, Andreas, Christian, Michael, Peter, Stefan, Thomas; Andrea, Barbara, Gabriele, Martina, Monika, Petra** და სხვ. (Vorobets 2017: 18).

ფედერალური სტატისტიკური სამსახურის მონაცემებით, 2014 წელს გერმანიაში ცხოვრობდა 16,5 მილიონი ადამიანი მიგრაციის ისტორიით. აქედან თითქმის 8,2 მილიონი იყო მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე.

სხვა ქვეყნებიდან და კონტინენტებიდან ხალხის მიგრაციამ შეცვალა სოციალური სტრუქტურა გერმანიაში. ეთნიკური, ენობრივი, კულტურული, რელიგიური და ასევე ონიმური მრავალფეროვნება დღეს გერმანიაში ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ახალ კულტურებთან ერთად მოვიდნენ და მოდიან ახალი სახელები და გვარები, ასევე, გერმანიისთვის უცხო სახელწოდების სისტემები. ამ უცხოური სახელების ზოგიერთი ნაწილი უკვე გვხვდება გერმანიის ათას ყველაზე გავრცელებულ გვარს შორის, მაგალითად, ვიეტნამელთა გვარი **ნგუენი** (Rodríguez 2016: 149-150). ახალი სახელები და სახელთა სისტემები პრობლემებს ქმნის, რადგან ზოგიერთ ხალხში არ არსებობს გვარები, მამის სახელები და ა.შ.

პრობლემა რთულდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი თავისი სახელით, გვარით, მამის სახელით და ა.შ. იქცევა საერთაშორისო ობიექტად და იძულებულია ანგარიში გაუწიოს იმ ქვეყნის კულტურას, რომელთანაც სჭირდება კონტაქტები. მამის სახელის პრობლემა ყოველთვის იდგა სხვადასხვა ქვეყნის კულტურის ისტორიაში. ასე იყო ქართულ სინამდვილეში, როდესაც სახელთან ერთად ამა თუ იმ პიროვნებას მოიხსენიებდნენ მამის სახელით. მაგალითად, „ვარსკენი ძეი არშუშაისი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისთვის (V ს.) გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ადამიანის სახელს, გვარით არ მოიხსენიებოდა და არც ვიცით, რა გვარის იყო ვარსკენი. მაგრამ გარემო პირობები მოითხოვდა მამის სახელის დაფიქსირებას, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია გვარის ჩამოყალიბებაც. ამის კარგი მაგალითია ჩვენი ცნობილი მწერალი **ივანე საბანისძე** (VIII ს.), რომლის მამის სახელიც სრულად არის წარმოდგენილი; ის უფრო მამის სახელია, ვიდრე – გვარი, რადგან ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი ჯერ კიდევ არსებობს, თორემ უნდა ყოფილიყო „საბანიძე“. მსგავსი მაგალითების მოძიება ადვილია.

ეს პროცესი, მამისაგან გვარის მიღება, გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურების შემდეგ, XIX საუკუნის დასაწყისში, მამის სახელის აღნიშვნა არა როგორც გვარის გარკვეული ეტაპის, არამედ უკვე მამის სახელისა: **ივანე პეტრეს ძე – ივან პეტროვიჩი**. ეს იყო სხვა კულტურა, რომელთანაც მოუწია შეხება ქართულ ანთროპონიმსა და წლების განმავლობაში კანონიკურ ნორმად იქცა. მაგ., **ივან პეტროვიჩი პოპოვი**. ამ სტრუქტურით ჩამოყალიბდა


ქართული სახელის, გვარის, მამის სახელის ერთობლიობა. XXI საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა ქართულ ანთროპონიმიაში: საპასპორტო მონაცემებიდან ამოღებულ იქნა მამის სახელი. ამით ქართული ანთროპონიმული კულტურა დაუბრუნდა ქართულ ტრადიციას, მაგრამ, როდესაც ჩვენ გვჭირდება გარკვეული მონაცემების შევსება, რომელიც რუსეთს ან რუსულ სინამდვილეს ეხება, მოცემულია გრაფა მამის სახელისათვის. ამით ჩვენ ანგარიშს ვუწევთ მეზობელი ქვეყნის ანთროპონიმულ და კულტურულ ტრადიციას.

სახელთა კლასი გერმანულში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ენაში, შედგება საზოგადო და საკუთარ სახელთა სუბკლასებისგან, რომელთა სრულყოფაც სალიტერატურო ენასა და დიალექტებში პერმანენტულად მიმდინარეობს ენის ისტორიული განვითარების ფონზე. გერმანულ ენათმეცნიერებაში მიღებულია, საკუთარ სახელთა სუბკლასში გეოგრაფიულ სახელებთან ერთად გააერთიანონ პიროვნებების, ეროვნებათა/ეთნოსების სახელები.

პირთა სახელები ენის ლექსიკური ფონდის იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება, ახლდება და მეცხეულად რეაგირებს საზოგადოების სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებზე) (გურგენიძე... 2010: 128).

ქართულ ენაში სახელთა კლასი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: საკუთარი და საზოგადო სახელები, სულიერი და უსულო სახელები, ადამიანთა და არაადამიანთა სახელები.

წარმოვადგენთ ქართული ენის სახელთა კლასიფიკაციის სქემას:



სახელთა კლასიფიკაციისას, ვფიქრობთ, საყურადღებოა ანთროპონიმთა კლასი. მას განსაკუთრებული ადგილი აქვს სახელთა სისტემაში. ანთროპონიმი შედის სახელთა ჯგუფების უმრავლესობაში, როგორცაა: ტოპონიმია, ჰიდრონიმია, ოიკონიმია, ზოონიმია და ა.შ.

განსაკუთრებით ფართოდ შედის ზოონიმიაში და, პირიქით, ზოონიმია – ანთროპონიმიაში. ზოონიმები ასახავს და ემთხვევა ადამიანთა სახელდების, ანთროპონიმის გარკვეულ ფენას. ზოონიმებმა დღეს გადაინაცვლა იმ დროში, რომელიც წინ უსწრებდა ჩვენი გვარების ჩამოყალიბებას. ამიტომ ბევრი მათგანი დღეისათვის მეტსახელად გვხვდება (ბერიძე 2020: 22).

ცხოველთა სახელები ძირითადად გარეგნული მოტივაციის შედეგად იქმნება, თუმცა ზოგი გარეგნული ნიშანი, რომელიც საქონელს აქვს, ძნელი წარმოსადგენია ჰქონოდა ადამიანს, მაგალითად: **ნიშა (ნიშანა), ნიკორა, ჭრელა**. მაგრამ გვარები, რომლებიც გვაქვს ქართველებს, მიგვითითებს, რომ ასეთი ნიშნებით ხასიათდებოდა ადამიანიც და შესაბამის სახელებსაც ვარქმევდით. ასეთი გვარებია: **ნიშანაძე, ნიკორაძე, ჭრელაშვილი** და სხვა (ბერიძე 2020: 33).

ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ზოონიმია და ანთროპონიმია მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ისტორიის გარკვეულ ნაწილს ნათლად გვიხატავს. უფრო მეტიც, ხანდახან ჭირს სახელის გარჩევა მისი პირვანდელი სახელსადები ობიექტისა.

დამოწმებული ლიტერატურა

ბერიკაშვილი 2012: ბერიკაშვილი ს., ქართულ-ბერძნული კონტრასტული (სახელთა სისტემა). თბილისი, 2012.

ბერიძე 2020: ბერიძე მ., ერთი სოფლის ტოპონიმია 3, ვალის ტოპონიმია. ახალციხე, 2020.

გურგენიძე 2010: გურგენიძე ნ., ჯიქია მ.. ტიპოლოგიური მიეზანი, VI. თბილისი, 2010.

თოფჩიშვილი 2010: თოფჩიშვილი რ., სახელების ეთნოლოგია და ისტორია, მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმული სისტემები. თბილისი, 2010.

ტერმინოლოგიის საკითხები 2014: ტერმინოლოგიის საკითხები I. (2014). თბილისი: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ტერმინოლოგიის საკითხები 2016: ტერმინოლოგიის საკითხები II. (2016). თბილისი: ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არნ.ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

ჯორბენაძე 1975: ჯორბენაძე ბ., საკუთარი სახელი ენის საერთო ლექსიკაში. ენათმეცნიერება. თბილისი: თსუ შრომები, 1975.

Farkas 2019: Farkas, T. Onomastics Today: An International Overview., <https://www.researchgate.net/publication/330857542>. 18. 05.2020

Kunze 2005: Kunze K., dtv-Atlas Namenkunde. Vor- und Familiennamen im deutschen Sprachgebiet. Berlin: Digitale Bibliothek, 2005.

Rodríguez 2016: Rodríguez G., Aktuelle Tendenzen in der Namengebung ausländischer, bi- und multikultureller Familien in Deutschland. In Onomastica Lipsiensia Leipziger Untersuchungen zur Namenforschung Band 12, by Dietlind Kremer und Dieter Kremer Herausgegeben von Karlheinz Hengst, 150. Leipzig: LEIPZIGER UNIVERSITÄTSVERLAG GMBH, 2016.

Vorobets, 2017: Vorobets O., https://is.muni.cz/th/x3azf/Die_Personennamen_im_deutschen_und_ostslawischen_Sprachraum._Ubersicht_der_charakteristischen_Merkmale_und_Spezifika.pdf. April 28, 2017. 30.06.2022.

Wie entstanden Nachnamen? 2009. <https://www.onomastik.com/dokumente/Nachnamen.pdf>. 25.10.2023.